№ 150
ხუთშაბათი, 13 ივლისი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 150
ხუთშაბათი, 13 ივლისი, 1900 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227

იყიდება კუკიის გაჯი.

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ბევრმა არ იცის ესა და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპეიკით უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ქსტი ექმნება მიკრული ამნაირის წარწერით: „კუკიის გაჯი".

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიასთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—13)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12½—1½ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ვ. ზ. წერეთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკოვიჩი—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. გეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

ნასიძე

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყოველნაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12 მდე და საღამოობით 5—7-მდე. (30—უ.—6)

ს. ქარელში

22 ივლისს, 1900 წელს,
ქარელში განზრახულ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ **გაიმართება**

საცეკვაო საღამო

ბილეთი ჰღირს მამა-კაცთათვის 2 მან. 10 კაპ., ქალებისათვის—1 მ. 10 კაპ. (3—6.—1)

ვექილ კასსირს

კარგის ჯამაგირით
ჩემის ღვინის
სარდაფისათვის,

რომელიც მდებარეობს გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლში, № 17.

ბე უნდა წარმოადგინოს ნაღდ ფულად.

(4—6.—1) თავ. გიორგი ქავჭავაძე

ახალი ამბავი

⁂ სამშაბათს, 11 ივლისს, საღამოზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, სხდომა ჰქონდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელსაც განსახილველად ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთების სახსოვრად 1901 წელს კავკასიის სამეურნეო გამოფენის მოწყობა-გამართვის საქმე. საბჭოს სხდომაზედ დასწრნენ განსაკუთრებულად მოწვეულნი საზოგადოების წევრნი ბ-ნი ვ. ნ. გეევსკი, გ. დ. ქურული და ა. ა. ქალანთაროვი. საბჭომ, განიხილა რა ამ საქმის შესახები ცნობები, დაადგინა: 1) მიწად-მოქმედების დეპარტამენტისაგან გამოგზავნილის ქაღალდის პირი წარუდგინოს განსახილველად საზოგადოების პრეზიდენტსა და მფარველს კავკასიის მთავარ მართებელს და ამასთან სთხოვოს დახმარება გამოფენის მოწყობის საქმეში; 2) შეუდგეს ეხლავე, მიწად-მოქმედების დეპარტამენტს მოწერილობის თანახმად, გამოფენისათვის საჭირო პროგრამის შემუშავებას, 3) სთხოვოს გამოფენაში მონაწილეობის მიმღებ დაწესებულებათ შეატყობინონ საზოგადოებას თვისი მოსაზრებანი ამ საქმის შესახებ და აგრეთვე დანიშნონ თავიანთი წარმომადგენელნი, რომელთაც საზოგადოებასთან ერთად უნდა მიიღონ შრომა გამოფენის მოწყობის საქმეში, და 4) შემუშავებული პროგრამა საზოგადოებამ თვისის პრეზიდენტისა და მფარველის შუამდგომლობით წარუდგინოს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დასამტკიცებლად. ამასთანავე შეეკითხოს ზემოხსენებულ დაწესებულებათ, თუ რა მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ გამოფენის გასამართავად საჭირო ხარჯში, რომელიც, საბჭოს გამოანგარიშებით, სულ 80,000 მანეთიდგან 90,000 მანეთამდე უნდა იყოს.

ფელეტონი

მე-XIX საუკუნის პროგრესში იტალიას რა ღვაწლი მიუძღვის.

(პაოლო ლომბროზოს ხელთნაწერიდგან)

(დასასრული *)

ჩვენის საუკუნის ერთმა უდიდესმა სწავლულთაგანმა, ლომბარდელმა ვარსკვლავთ-მრიცხველმა სკიაპარელმა სხვა-და-სხვა კომეტების (კუდიან ვარსკვლავების) მსვლელობა და მოძრაობა პირველმა გამოიკვლ-გამოიანგარიშა და ახსნა ზეცის მრავალი საიდუმლოებით მოცული მოვლენა, როგორც, მაგალითად, მნათობის მარეხის არხები და სხ.

მაგრამ აბა ახლა ბიოლოგიასა და მედიცინას (მკურნალობას) გადავავლოთ თვალი; როგორც ფიზიკასა და ქიმიაში, ისე აქაც საზოგადო საკაცობრიო წინსვლის საქმეში თავისი საპატიო წვლილი შეუტანია იტალიას. როგორც ელექტრონის ცოდნაში შექმნა მთელი ახალი დარგი, ისე ბიოლოგიაში ჩაუყარა საძირკველი სრულიად ახალს მეცნიერებას, კრიმინალურს ანთროპოლოგიასა და სოციოლოგიას, რომელთა წყალობითაც ევოლიუციის თეორიამ, სამკურნალო და სხ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათ ესეთი კანონიერი და პირ-და-პირი დამოკიდებულება მოიპოვეს სოციალურ და იურიდიულ მეცნიერებასთან.

დღეს იტალიის გარეშე ესრედ განვითარებული ახალი მეცნიერება, კრიმინალური ანთროპოლოგია, აქ, იტალიაში დაიბადა. პირველი წიგნი ამ მეცნიერების შესახებ აქ დაიბეჭდა და ეს წიგნი იყო „L 'Homo delinquente", რომელმაც აღიარა ის პრინციპი, რომ დამნაშავე ნორმალური არსება არ არის და ამის გამო სასჯელიც შემცირებული უნდა ჰქონდეს, რადგან უმთავრესი მიზეზი მისის დანაშაულობისა უმეტეს ნაწილად ავადმყოფობა, შეშლილობა, ან-და ბნედაა, რომლებიც ადამიანს მისდა უნებლიედ პირველყოფილ ველურობის გრძნობებს უღვიძებენ და ცუდის საქციელისა და ბოროტის ჩასადენად იწვევენო. ამ გარემოებას ის გონივრული შედეგი მოჰყვა, რომ მართლაც დარწმუნდნენ, თუ ამ ახალის მეცნიერების მიერ აღიარებული ჭეშმარიტება რამდენად ნათელს ჰფენდა სიმართლეს და საჭიროდა ჰსცნეს, არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა გადაესინჯათ, რაიცა ევროპის ზოგიერთა ქვეყნებში უკვე დაიწყეს. ამ რიგად იმ დრომდის ერთი მეორისაგან დაშორებული ორი მეცნიერება—მკურნალობა და უფლება ახლა ერთი მეორეს დაუახლოვდნენ, დაუკავშირდნენ.

მაშასადამე, კრიმინალისტთა (სისხლის სამართლის მცოდნეთა) უმთავრესი აზრი ამას შემდეგ ის-კი არ იქნება, რომ დამნაშავე დასაჯონ, რადგანაც კრიმინალურ ანთროპოლოგიის აზრით ეს მხოლოდ შურისძიება იქნება და სხვა არაფერი, არამედ ის, რომ ავადმყოფს უწამლონ, მოუარონ, საზოგადოება ამ გვარ ავადმყოფთა ბოროტ-მოქმედებისაგან განთავისუფლონ; ამისათვის ამის შემდეგ იმას-კი არ დაუწყებენ კვლევა-ძიებას, თუ დამნაშავემ რამდენად მძიმე სასჯელი უნდა მოიხადოს დანაშაულისათვის, არამედ იმას, თუ ეს დამნაშავენი რამდენად საშიშნი არიან საზოგადოებისათვის, რომ შესაფერი მალამო დასდონ ამ სენს.

დაბადებით დამნაშავე მხოლოდ ავადმყოფია, რომელსაც უცნობი ძალა ბოროტ საქმის ჩასადენად იწვევს მუდამ და ამისთანა ადამიანი მართლაც საშიშია საზოგადოებისათვის; საზოგადოება ამგვარს ადამიანებს უნდა ირიდებდეს; აპატიმრებდეს, რომ ბოროტის ჩადენა ვეღარ შესძლონ. მეორე მხრივ კრიმინალისტიც დამნაშავეთა კანდიდატია მხოლოდ; გარჩევა მხოლოდ აქ იმაშია, ჩაადენინებს თუ არა გარემოება დანაშაულს, მაგ.: შიმშილი, შურისძიების გრძნობა, მიბაძვა, ვნება და სხ. აი, საზოგადოების მოვალეობას სწორედ ეს შეადგენს, რომ ადრევე ეცადოს და ეს დამნაშავეთა კანდიდატი, კრიმინალოიდი, ნამდვილ დამნაშავედ არ აქციოს, ე. ი. ეცადოს, ცუდს გავლენასა და მაგალითს მოაცილოს, ღარიბ-ღატაკთა და უპატრონოდ დარჩენილ ბავშვების აღზრდა-პატრონობა იკისროს, რომლებიც წინაამდეგს შემთხვევაში მხოლოდ დამნაშავეთა რიცხვს ემატებიან. ჯეროვანი აღზრდა და პატრონობა თვით მათაც და საზოგადოებასაც სრულიად უზრუნველ ჰყოფს.

ახალი რაციონალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც ამ ჟამად ბელგიასა, უნგრეთსა, შეერთებულს შტატებსა, ავსტრალიაში და სხ. იქმნა შემოღებული, ამ მეცნიერების გავლენის ქვეშ იქმნა შემუშავებული. ყველა ამ ზემოდ აღნიშნულ სახელმწიფოში სასტიკი საშუალებანია მიღებული, ნამდვილი დამნაშავენი კრიმინალოიდებს, შემთხვევით დამნაშავეთ, არა ჰხვდებოდნენ, განცალკევებულ იქმნენ მოზარდ თაობისაგან, რომელიც ისე ადვილადა ჰბაძავს ხოლმე და ჩვეულებრივ დამნაშავედა ხდება.

მამი ჩემის, ჩეზარე ლომბროზოს, მიერ დაარსებულმა ამ ახალმა სკოლამ, ეჭვი არ არის, ყველაზედ ფართო ასპარეზი და მეტი განვითარება იტალიაში ჰპოვა, სადაც მისდა დასაგვირგვინებლად ენერგიით სავსე მოღვაწენი საკმაოდ აღმოჩნდნენ. ენრიკო ფერრიმ თავისის შრომით „Sociologia Criminale" დანაშაულებათა აწინდელს პროფილაქტიკას საძირკველი ჩაუყარა; გაროფალომ თავისს „Criminologia"-ში პირველი ადგილი დაუთმო იმას, რომ თითოეულს წმინდა იურიდიულ ხასიათის საგანსაც-კი მისის გარჩევის დროს დამამტკიცებელი საფუძველი უთუოდ ნატურალისტურ ფილოსოფიაში უნდა მოეძებნოსო; მარრო თავისს წიგნში „დამნაშავეთა ხასიათი" დაწვრილებითა და სავსებით იკვლევს დამნაშავეს ორგანიზმს; სიგელემ საგანგებოდ შეისწავლა დანაშაულობის მხრივ ბრბო და მასთან ერთად დამნაშავეთა დამოკიდებულებანი; ალონძიმ მაფია *) და მისნი მოქმედებანი გამოიკვლია,—ცერბოლინომ—ალკოჰოლიზმი (ლოთობა) და სხ.

მთარგმნელი.

---

*) იხ. „ივერია" № 149.

*) იტალიაში და ბევრგან სხვაგანაც დღემდის არსებული ფარული საზოგადოება დამნაშავეთა.

⁂ ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზედ დაადგინა, რომ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილ იქმნას 20 ამა წლის ივლისამდე, რომ გამგეობას შეძლება მიეცეს თავისს დროზე წარუდგინოს იგი ქალაქის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ქალაქის საბჭოს ხმოსანი ა. ა. ქალანთარი სატყეო-საბაღე კომისიის თავმჯდომარედ დაუმტკიცებია.

⁂ მამადავითის მთაზედ ფუნიკულერის აყვანის შესახებ ხელშეკრულება ქალაქის გამგეობამ გუშინ დაამტკიცებინა ნოტარიუსს მღებროვს.

⁂ როგორც იუწყებიან, გორის მაზრის ჩრდილო ნაწილში (ოსეთში) საქონლის ჭირი გაჩენილა; ჭირი საშინლად ვრცელდებაო. როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, ჭირი ქალაქიდგან წაყვანილს საქონელს გაჰყოლია. ამისათვის ადგილობრივს საგუბერნიო მთავრობას განზრახვა აქვს საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლად სხვა მაზრებიდგან ბეითლები და ორიც საგუბერნიო სამმართველოს შტატ-გარეშე მოხელე გაგზავნოს.

⁂ სამხედრო საბჭოს გადაეცა განსახილველად ის საგანი, რომ ამიერიდგან სამხედრო-სამკურნალო უწყებაში მსახურთ ჯამაგირები მოემატოთ.

⁂ სამხედრო საბჭომ დაადგინა, რომ სამხედრო-სამოსწავლო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოსთან საპედაგოგო კურსები იქმნას დაარსებული. აქ უნდა მომზადნენ ის ოფიცრები, რომლებიც შემდეგ კადეტთა კორპუსებში ინიშნებიან მოსწავლეთა აღმზრდელებად.

⁂ ენკენისთვის ნახევარში ვარშავაში ტელეგრაფისა და რკინის გზათა ელექტრო-ტეხნიკოსების წარმომადგენელთა კრება მოხდება.

⁂ 1901 წლის იანვრიდგან საერობო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შემოღებულ იქმნება: ა) საერობო გარდასახადი ყველა იმ მიწებზედ, რომლებზედაც შემოღებულ იქმნება სახელმწიფო საიჯარო და საადგილ-მამულო გარდასახადი და ბ) გარდასახადი ხაზინის სათევზაო ადგილების საზოგადო შემოსავალზედ. ამ გარდასახადის განაწილება და მოკრება ექვემდებარება იმავე წესებს, როგორსაც საიჯარო და საადგილ-მამულო გარდასახადები. საერობო გარდასახადები დაედება 1901 წლის იანვრიდგან საუფლისწულო მამულებსაც.

ქალაქის უძრავი მამულების, ფაბრიკებისა და ქარხნების, სავაჭრო და სამრეწველო შენობების საწარმოვო მოწმობისა და პატენტების გარდასახადები, რომელნიც წინად ხაზინას მიჰქონდა, იმავე დროიდგან მიემატება კავკასიის საერობო შემოსავალს.

1901 წლიდგან 1903 წლამდე საერობო თანხისათვის უნდა იქმნას გარდახდილი 1,769,578 მანეთი წლიურად ყველა იმ მიწებზედ, რომელთაც სახელმწიფო საიჯარო გარდასახადი გაეწერება, იმ მიწებს-კი, რომელთაც მამულის სახელმწიფო გარდასახადი დაედებათ, გარდახდებათ ამ გარდასახადის ყოველ მანეთზედ ოთხი მანეთი და 50 კაპ.; ხაზინის მიწებს და ტყეებს, თუ იჯარით არ არიან გაცემულნი, და სათევზოებს—საზოგადო შემოსავლის 7%; ქალაქის უძრავს ქონებას იგივე, რასაც სახელმწიფო გარდასახადი უდრის; ქარხნებს, ფაბრიკებს, სამრეწველო და სავაჭრო შენობებს — დაფასების 2%; მრეწველობის მოწმობებს პირველის ხუთის ხარისხისას და ვაჭრობის მოწმობებს პირველის 2 ხარისხისას—15%; სასმელების კეთებისა და ვაჭრობის პატენტებს—25% და სხვა პატენტებსა და მოწმობებს—10% მოწმობებისა, პატენტებისა და სხვა დოკუმენტების ფასებისა.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროში სამოქალაქო წოდებათა რეფორმის შესახებ ახალს პროექტს ადგენენ. ამიტომ სამინისტრომ მოსთხოვა გუბერნატორებს ყველა ის მასალები, რომელნიც მათს კანცელარიაში მოიპოვება.

⁂ სამეურნეო განათლების ახალ წესზედ მოწყობის პროექტი ყველა ტიპის სამეურნეო სკოლებს ეხება. საშუალო სამეურნეო სასწავლებლების პროგრამმა გაფართოებული იქნება და სხვა საშუალო სასწავლებლების პროგრამმის შესაფერად შეცვლილი, რაიცა სამეურნეო სკოლაში კურს-დამთავრებულს უმაღლესის განათლების მიღებას გაუადვილებს. რაც შეეხება დაბალ სამეურნეო სასწავლებლებს, განზრახულია დაარსონ სულ უბრალო სკოლები მარტივისა და შემოკლებულის კურსით.

⁂ პურის გადაზიდვის საქმის განსაკარგებლად პეტერბურგში რკინის გზის წარმომადგენლების კრებას აპირებენ. კრებისთვის ადგილობრივმა რკინის გზებმა უნდა დაამზადონ ყველა ცნობები მოსავლისა და გადასაზიდავ პურის რაოდენობის შესახებ.

⁂ მომავალს 1902 წელს რუსეთის სამინისტროებს ასი წელიწადი შეუსრულდებათ. ამ შემთხვევის გამო რამდენსამე მეცნიერს უკვე მიანდვეს სამინისტროების ისტორიის შედგენა.

⁂ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნის რობის მიერ წარდგენილი გეგმა ახალის ცხენის რკინის გზის ლიანდაგის გაყვანისა ბალების ქუჩაზედა და ვაკზლიდგან მიხეილის ქუჩაზედ ლიანდაკის ჩამოტანის შესახებ, რომელიც სწორედ იუნკერთა სასწავლებელთან შეუერთდება მთავარს ლიანდაგს, ქალაქის გამგეობას დაუმტკიცებია. მუშაობას დაუყოვნებლივ შეუდგებიან. ამავე ზაფხულს აპირებენ ავლაბარშიაც გაიყვანონ ტრამვაის ლიანდაგი.

⁂ მართლ-მადიდებელ სამღვდელოების წარმომადგენელს ქალაქის საბჭოში მღ. კალ. ცინცაძეს ქალაქის გამგეობაში შუამდგომლობა წარუდგენია, რომ „ლოტკის-გორაში“, სადაც ამჟამად მსურველთ მიწებს აძლევს ქალაქი იჯარით, რვა ნაჭერი მიწა ამ ადგილას მომავალში მართლ-მადიდებელთა ეკკლესიისა, სამრევლო-საეკკლესიო სკოლისა და სამღვდელოთა საცხოვრებელ სახლის ასაშენებლად იქმნას დატოვებული.

⁂ ქ. სიღნაღი. აქ გვეწვივნენ ქართული დასის არტისტები ქ-ნი გამყრელიძისა და ბ-ნი აწყურელი და გამყრელიძე. 9 მკათათვეს გამართეს მათ ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს „ფული და ხარისხი“ 3 მოქ. კომ. აზიანისა და ვოდევილი „ოინბაზი“ ცაგარლისა. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. კარგები იყვნენ არტისტები გამყრელიძე—კნიაზ ღამაძის როლში, და აწყურელი — გამოგდებულ-სწავლაზე გულცრუებულ თავადიშვილის როლში. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები სცენის მოყვარეთაც: ქ-ნმა იაშვილისამ—სომხის დედაკაცის როლი და ბ-ნმა აჯამამედოვმა—არტემ ფულიანცის როლი.

⁂ სამშაბათს, 11 ივლისს, ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობის წევრის ბ-ნ მ. ს. შესტაკოვის მოხსენება გენერალ მაიორის ი. ედიგაროვის და მირზოევების საჩივრის გამო იმის შესახებ, რომ ქალაქის დამფასებელ კომისიამ ვითომ მათი ადგილები წესიერად არ დააფასაო. გამგეობამ დაადგინა, მაინდოს გამგეობის წევრს ბ-ნს შესტაკოვს შეამოწმოს ქალაქის დამფასებელ კომისიის საქმე და გაიგოს რამდენად სამართლიანია საჩივარი.

⁂ პოლიციის მე-2 ნაწილში მცხოვრებმა ნიკიფორე რიბალკინმა განუცხადა პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ ჩემი 10 წლის ქალი ალექსანდრა 4 ივლისს სახლიდგან გამოვიდა და მას შემდეგ ვერ გვიპოვნიაო. პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა ყველა ბოქაულებს მიწერილობა გაუგზავნა, რომ ყოველივე ღონისძიებანი იხმარონ და იპოვონ როგორმე.

⁂ პოლიციის მე-6 ნაწილში, თავ. შალიკაშვილის სახლში მცხოვრებმა ტფილისის მცხოვრების ქვრივმა ეკატირინე ხაჩატუროვისამ გამოუცხადა პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ ჩემი 13 წლის შვილი ალექსანდრე 7 ივლისს სახლიდგან გამოვიდა და მას შემდეგ აღარ დაბრუნებულაო. პოლიცია ეძებს.

⁂ ორშაბათს, 10 ივლისს, დილის 9 საათზედ, პოლიციის მე-7 ნაწილში, კახეთის მოედანზედ, ტფილისის გუბერნიისა და მაზრის სოფელ დაგეთის მცხოვრებმა არუთინ ზაქარიას ძემ ოგანოვმა თავის ფეხსაცმელების საკერავ სახელოსნოში რაღაც ფულის ანგარიშების გამო ატეხილ ჩხუბის დროს დანით მძიმედ დასჭრა თავისი ამხანაგი ქალაქ სიღნაღის მოქალაქე მიხეილ პაპაშვილი მარცხენა გვერდში, რომელიც მიხეილის სავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი, ხოლო დამნაშავე ოგანოვი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს.

◆

წერილი ლანჩხუთიდგან

ვის არა აქვს გაგებული, თუ მებრეშუმეობამ ამ უკანასკნელ წლებში რა დიდი ადგილი დაიჭირა მთელს დასავლეთ საქართველოში და რა წარმატებაში შეიდა: მდიდარი, ღარიბი, თავადი, გლეხი, ყველა ხელს ჰკიდებს. ძველის წეს-ჩვეულებით გამსჭვალული ბატონიც დღეს ამ გზაზედ გამოსულა და სცდილობს თავისს ნაყმევს უკან არ ჩამორჩეს. იგი შრომას დიდად აფასებს (რა თქმა უნდა თავისას და არა სხვისას) და შრომის ნაყოფსაც დიდს მოელის, მაგრამ აქ კი სტყუვდება და მისი შრომაც ისევე ფასდება, როგორც უბრალო გლეხისა. მაგრამ გაუმაძღარი და სხვისის მჭამელი ჩვენი ხალხი არას დროს არა ყოფილა და არც ახლა არის; მხოლოდ თავისაში თხოულობს ჯეროვანს ფასს, მაგრამ ხშირად ამასაც ვერ აძლევენ და თავისი ნაშრომი მესამედ-მეოთხე ფასად ეკარგება. ამ გვარს მდგომარეობაში გაატარა მებრეშუმეობამ 4-5 წელიწადი და პარკის ფასები ამ ხანში 7—8 მანეთს არ აღმატებია. მიზეზიც სწორედ ეს იყო, რომ ამხანაგობა დაარსდა, რომლის უმთავრესი საგანი ნაწარმოების ფასების მომატება უნდა ყოფილიყო. შეასრულა თუ არა ეს მოვალეობა ამხანაგობამ? პირველს ხანებში პარკის ფასი ხოლო ამ უკანასკნელ დროს პარ-

---

იტალიელ მეცნიერთა და მკვლევართა შრომანი ამ საგნის შესახებ ამჟამად უკვე ევროპის ყველა ენაზედ იქმნენ გადათარგმნილნი და იტალიის ახალი სკოლა საერთაშორისოდ შეიქმნა.

1848 წელს ერთმა იტალიელმა, ბრეშიელმა უგო ბასსიმ, რომლის სახელიც დღემდის უცნობად დარჩა და რომელმაც აბრეშუმის პარკის სენი და წამლობა აღმოაჩინა, პირველმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ხოლერისა და სხვა მრავალის სენის მიზეზიც ისეთივე მიკროორგანიზმები უნდა იყვნენ, როგორებიც აბრეშუმის პარკს აზიანებენო; მაშასადამე, აქედგან ხოლერის ასაცდენადაც ისეთივე დეზინფექცია და მორიდებაა საჭირო, როგორსაც პარკების გადასარჩენად ხმარობენო. ამრიგად პირველად იტალიაში გამოითქვა ის დიდებული იდეა, რომელმაც პასტერისა და კოხის მოძღვრებაში ესოდენ დიდი და საპატიო ადგილი დაიჭირა და მით იგინი უკვდავ-ჰყო. პაოლო მანტეგაცცამაც თავისის გამოკვლევებით ტკივილების ფიზიოლოგიის შესახებ სრულიად ახალი სამეცნიერო საცდელი მეთოდი აღმოაჩინა. ლომბარდიის მცხოვრებმა, ჯულიო ბიცოცცერომ აღმოაჩინა ახალი და დიდმნიშვნელოვანი სისხლის ელემენტი და გვიჩვენა, თუ სისხლის გორგოლებები საიდგან წარმოსდგებიან, ან სისხლის შედედებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს. ლომბარდიისავე მცხოვრებმა კამილო გოლჯიმ აღმოაჩინა, რომ გვარჯილა (ჯოჯოხეთის ქვა) ნერვების ქსელსა ჰღებავს და ამით შესაძლებელ-ჰყო ნერვები მეცნიერულად გამოკვლეულ-შესწავლილიყო.

პუმონტის მცხოვრებმა ანჯელო მოსსომ გამოიგონა დაღლილობისა, შიშისა და სისხლთ მოწოლვის შესანიშნავის სიმართლით გამზომველი იარაღი და ამ რიგად ფიზიოლოგიას სრულიად ახალი მიმართულება მისცა. იტალიის გამოჩენილმა დოსტაქარმავე ბასსინიმ უჩვენა პირველად ევროპას, თუ ფუში როგორ უნდა ამოეჭრათ, რომლის შემდეგაც აგერ დღემდის ბასსინის საშუალებითვე უკეთებენ ოპერაციას ფუშიანებს.

პელლაგრის (მილანის მკეთრი) მიზეზიც ხომ, რომელიც სოფლის მცხოვრებთ მუსრს ავლებდა, მაჰჩემმა ჩეზარე ლომბროზომ აღმოაჩინა; ამ ავადმყოფობის მიზეზი, როგორც აღმოჩნდა, წამხდარი სიმინდის ფქვილი თურმე, რომელსაც სოფლის ხალხი ხშირადა ჰხმარობს. აქედგან, რაკი მიზეზი ცნობილ-იქმნა, ეჭვი არ არის, ავადმყოფობის წინააღმდეგ საშუალების აღმოჩენაც, ე. ი. სასტიკი სისუფთავე და მორიდება სამიზეზო საჭმელისა, სულ უბრალო-და იყო. ამ ბოლოს დროს იტალიელმავე სანნარელომ შეისწავლა არგენტინაში გავრცელებული ეგრედ წოდებული „ყვითელი ციება“ და ავადმყოფთა სისხლში აღმოაჩინა ბაცილა, რომელიც ამ სენის მიზეზად უნდა ჩაითვალოს და რომლის წინააღმდეგ ბრძოლა, რაღა თქმა უნდა, სულ ადვილია.

ფილოსოფიასა, სოციოლოგიასა, ისტორიასა და ფილოლოგიაშიაც დიდი წვლილი აქვს იტალიას შეტანილი. თანამედროვე ისტორიკოსთა და სოციოლოგოსთა ცნობილმა კარლოს კატანეომ უკვე ორმოცდაათი წელიწადია გამოსთქვა ის დიდებული აზრები და დაასახელა ის კითხვები, რომლებიც დღემდის სოციოლოგიისა და პოლიტიკის უმთავრესს საგანს შეადგენენ. იგი მაშინვე ამბობდა, რომ საჭიროა უფლება მართვა-გამგეობისა დანაწილდეს, არჩევნები თავისუფლად სწარმოებდეს, რკინის გზას სარგებლობით ვხმარობდეთ და სხვანიო. ირლანდიაში ყუფნის დროს კატანეომ ათის წლით ადრე უჩვენა, რომ ხალხს დამშევა და დიდი უბედურება მოელოდა და საშუალებანიც უჩვენა იმათ წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებითაც მართლაც ისარგებლეს შემდგომში. კატანეოს თანამედროვემ, პაოლო მარცელომ, ისტორიულ გამოკვლევათათვის სრულიად ახალი, ფილოლოგიაზედ დამყარებული მეთოდი აღმოაჩინა და თავისს წიგნში „სიტყვიერების ისტორიულნი ნაშთნი“ ამ მეთოდით შეადგინა ისტორია პირველ-ყოფილთა ერთა, რომელშიაც ძალვი გამოკვლევისა სიტყვების ძირსა და პირვანდელს აზრზეა დამყარებული. იტალიის შესანიშნავმა მეორე ფილოლოგმა ასკოლიმ კიდევ დაადგინა, რომ აზიულ და სემიტურ ენათა შორის ძველთაგანვე კავშირი და ნათესაობაა და რომანულს ენებს დიდი ერთობა აქვთ.

იტალიის პირველ ფილოსოფოსად ჭეშმარიტად უნდა ჩაითვალოს რობერტს არდიგო, რომელმაც „ფსიხოლოგიას, როგორც პოზიტიურს მეცნიერებას“ საძირკველი ჩაუყარა. პოლიტიკურს ეკონომიაში სახელი განითქვა ახილოს ლორიამ, რომელმაც თავისს ნაწერებში პირველად გამოიკვლია, თუ ეკონომიურს პირობებს ისტორიაზედ რა ზეგავლენა აქვს.

ჩვენ, ეჭვი არ არის, ვერ შევძლებთ ჩამოვთვალოთ ყველა ის მოღვაწენი, აღმომჩენნი და სწავლულნი, რომელთაც მიმდინარე საუკუნის პროგრესში მონაწილეობა მიუღიათ. მაგრამ აქედგანაც, რაც ვთქვით, ნათლადა სჩანს, რომ იტალიაში დაბადებულს იდეებს შემდეგ სხვა ერთა ძარღვი აუმოძრავებია და მითი შექმნილა დიდებული ტაძარი პროგრესსისა ამ ჩვენს საუკუნეში. ავიღოთ, მაგალითად, დიდებული აღმოჩენა ვოლტასი, განა ეს იტალიის გენიის ნაყოფი არ არის, რომელზედაც შემდეგ ინგლისელთა და ამერიკელთა აღმოჩენანი აღმოცენდა? მეორე მხრივ გერმანელ სწავლულის გერცის აღმოჩენით ისარგებლა იტალიელმა მარკონიმ და უმავთულო ტელეგრაფი გამოიგონა, რომელიც თავისს დროზედ ყველა არსებულ სატელეგრაფო საშუალებას მოსპობს. ყოველივე ეს გვიჩვენებს, თუ ცოდნათა სხვა-და-სხვა დარგს შორის რა დიდი კავშირი არსებობს, რა დიდი საერთაშორისო დანიშნულება აქვს მეცნიერებას, რომლის სადიდებელ ტაძრის აგებაშიაც დედამიწის ზურგის ყველა ერნი იღებენ მონაწილეობასა და რომელთა შორისაც იტალიას ესოდენ საპატიო ადგილი უჭირავს.

ინ-ანი.

გის ფასმა მლივს 13—14 მანეთამდე მოიმატა. წელს კი სულ სხვა გვარად დატრიალდა საქმე და სოფლელებს ბედმა გაუღიმა: მოახლოვდა პარკის გაჭრობის დრო თუ არა, მეადველ-ბაცაცებმაც თავი გამოჰყვეს თავიანთ ფუღუროებიდგანა და ჩვეულებრივად დიდს ლუკმას მოელოდნენ, მაგრამ არ გაუმართლდათ იმედი. ძველებურად 9—10 მანეთის მეტი არ უნდოდათ მიეცათ ფუთ პარკში და დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ თუ მათი პირობა არ ჩაიშლებოდა და რომელიმე მათგანი არ მოუმატებდა, ამ ფასებშიაც სიამოვნებით ჩვენს აბრეშუმს მალიად ხელთ იგდებდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და ბ-ნ ქუთათელაძის წყალობით, რომელიც ამ დროს სწორედ ციურ მანანასავით მოევლინა და ადგილობრივის ბოქაულის შემწეობით 14 მანეთიდგან 16 მანეთამდე ავიდა პარკის ფასი და მყიდველების განზრახვა, რომ ფასი არ აეწიათ, გაუქმდა და რაღა გზა ჰქონდათ გულ-დაწყვეტილნი და მადა გაცრუებულნი ისინიც 14—15 მანეთად ყიდულობდნენ ფუთ პარკს.

წრევანდელი წელიწადი ერთ საუკეთესო მოსავლიან წელიწადად უნდა ჩაითვალოს, როგორც პარკს, სიმინდსაც კარგი ფასები ჰქონდა და თითქმის ფუთი სიმინდი სულ 60 კაპ. გაიყიდა. ამ კარგს ფასებს ხელი შეუწყო წარსულის წლის კარგმა მოსავალმა და მით ბევრმა გაჭირვებულმა სული მოითქვა.

ასეა თუ ისე, ყველაფერს საშუალება ეძლევა და წარმატებაში მიდის, მოსავალი უმჯობესდება, ნაწარმოებს ბაზარი და ფასი ემატება, რითაც ხალხი შეძლებით წინ მიდის, მაგრამ ამდენ სიკეთესთან ჩვენს კურთხეულს დაბას ერთი ნაკლი ისა აქვს, რომ მკურნალი არა ჰყავს, რის გამოც მრავალი ესალმება ამ წუთი-სოფელს უწამლოდ და უმკურნალოდ. მთელი ოთხი სოფელი, რომლიდგანაც თვითოეული შესდგება არა ნაკლებ 800 მოსახლესაგან, მიგდებულია ფერშლების ანაბარად, რომლებიც ცოტ ცხენების მეტს ვერას სწამლობენ და მძიმე ავადმყოფისათვის იძულებულნი ვართ ისევ ქალაქიდგან მოვიყვანოთ მკურნალი, რაიცა ავადმყოფის პატრონს უჯდება არა ნაკლებ 15—20 მანეთისა. ხოლო ვისაც შეძლება არა აქვს, ექიმი არ არის, ის ბევრს აღარა სწვალობს და სამარადისო ძილს ეძლევა. კარგი იქმნებოდა, ჩვენი ქართველი მკურნალები, რომლებიც სიტყვით ბევრსა ლაპარაკობენ, სოფლელებს უნდა მოხმარებოდნენ, საქმითაც დაგვიმტკიცებდნენ და ერთი მათგანი ჩვენს დაბასაც ესტუმრებოდეს.

შემთხვევით მწერალი

წერილი ლეჩხუმიდგან

30 ივნისს, ღამის ათს საათზედ, ლეჩხუმის მაზრის სოფ. ნაკურალეშს, ცხუკუშერს, ღვირიშსა და ლაილაშში სეტყვა მოვიდა, რომელმაც გაანადგურა და მოსრისა ყოველივე ჭირნახული, ხეხილი, ვენახები და სხვ. ეხლა რომ ამ სოფლებს შეხედოთ, იანვარი გეგონებათ და არა ზაფხული, რადგანაც არავითარი ნათესი ნამუშავარი და ბალახიც-კი არ მოიძებნება, ხესაც ფოთოლი მთლად გაუყრევინა და ულორტო მიუმტვრია; ვენახები ცეცხლ-წაკიდებულსა ჰგავს, ვაზი დამტვრეული აქვს. სეტყვა სიმსხოთი თითქმის ქათმის კვერცხის ოდენა იყო, და ოცს წამს გასტანა. დაზარალებულია 100 კომლი, ე. ი. 1500 სულამდე, რომელთაც ამ სეტყვის შემდეგ აღარა აბადიათ-რა თავის შესანახად. დანარჩენებსაც, თუნდაც სარჩო იშოვონ, პირუტყვები მაინც დაეხოცებათ საკვების უქონლობისა გამო. მაზრის უფროსმა მეორე დღეს ინახულა ეს სოფლები ადგილობრივ და მთავრობას მოახსენა, რომ რაიმე შეწყალობა მიეცეს ამ დაღუპულს ხალხს, მაგრამ რა იქნება, არ ვიცით. ამასთანავე კარგი იქმნება ჩვენმა ქველ-მოქმედებმაც ყურადღება მიაქციონ და თავისი მხრივ რაიმე ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ ამ დაღუპულს ხალხს. შეწირულებათა გამოგზავნა ადგილობრივის მაზრის უფროსის სახელზედ შეიძლება, რომელიც დიდის მადლობით მიიღებს შეწირულებას დაზარალებულთათვის დასარიგებლად, რადგანაც თვითონ თავმჯდომარეა კომისიისა, რომელიც ამ დაზარალებულ ხალხის საშველად იქმნა ამორჩეული. აქეთ ხშირი წვიმებია, რამაც ბევრის მოსავალს ხელი შეუშალა.

აზნ. ნიკოლოზ მ. ჩარკვიანი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

პარიჟის გამოფენის ქართულის განყოფილებისათვის, სხვათა შორის, დაიწერა მოკლე მიმოხილვა განათლების მდგომარეობისა ძველსა და ახალს საქართველოში. ეს მიმოხილვა უკვე გადითარგმნა ფრანგულს ენაზე და გაიგზავნა პარიჟში დასაბეჭდად. ესევე მიმოხილვა, შევსებული და უფრო ვრცლად დასაბუთებული, დაიბეჭდება შემოდგომაზედ ერთს გავრცელებულს რუსულს პერიოდულს გამოცემაში. ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ, ჯერ-ჯერობით, გავაცნოთ მკითხველს მხოლოდ ორი ადგილი ამ მიმოხილვისა. ერთი ადგილი შეეხება სამოქალაქო სასწავლებლებს, მეორე ადგილი-საშუალო სასწავლებლებს.

„ქართველთა რიცხვის სიმცირე ქალაქებში იყო მიზეზი იმისა", ამბობს ავტორი მიმოხილვისა, „რომ წინა წლებში სამოქალაქო სასწავლებლებში, რომელთა რიცხვი კავკასიაში აჭარბებს ორმოცსა, ქართველი მოსწავლეები ბევრად უფრო ნაკლები იყვნენ, ვიდრე რუსები და სომხები. მაგრამ ბოლოს წლებში ქართველთა მოქალაქეთა რიცხვმა ძლიერ იმატა და ამას მოჰყოლია აღორძინება ქართველის მოსწავლეებისა სამოქალაქო სასწავლებლებში. აი ამის დამამტკიცებელი ციფრები, რომელნიც ამოღებულნი არიან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სამის უკანასკნელის წლის ოფიციალურის ანგარიშებიდან. 1897 წელს ყოფილა რუსი 3,708, ქართველი 2,090, სომეხი 2809. 1898 წელში ყოფილან: რუსები 3972, ქართველები 2372, სომხები 2908. მაგრამ 1899 წელში ქართველთა რიცხვს იმდენი მიმატებია, რამდენიც ვერ მიმატებია რუსებს და სომხებს ერთად აღებულსა, რის გამოც სიმრავლით ქართველებს დაუჭერიათ მესამე ადგილის ნაცვლად მეორე ადგილი სამოქალაქო სასწავლებლებში. სახელდობრ, რუსები ყოფილან 4,284, ქართველები 3,069, სომხები 3,060. ხოლო ყველაზე ის არის სანუგეშო და გამამხნევებელი, რომ ქართველს მოწაფეებს საგნებში წარმატებით წინ გაუსწრებიათ არამც თუ სომხებისათვის, არამედ თვით რუსებისათვის, თუმცა იგინი იმასთანა შემავიწროებელს გარემოებაში არიან, რომელსაც მოშორებულნი არიან რუსები და სომხები. მზრუნველის ანგარიშების ციფრებით 1897 წელს რუსებში წარმატებით ესწავლათ 78%, ქართველებში 72%, სომხებში 68%. მაგრამ 1898 წელში ქართველების წარმატება გამოხატულია 79%, რუსებისა 76%, სომხებისა 67%. 1899 წელში ქართველ მოსწავლეების წარმატება აღნიშნულია 77,1%, რუსებისა 75%, სომხებისა 73,9%. მღაღადებელი ციფრებია განა?".

საზოგადოებაში ის აზრი ტრიალებდა და ეხლაც ტრიალებს, რომ ქართველები მეოთხე კლასს იქით იშვიათად მიდიან, უმეტეს ნაწილად ირიცხებიან და ატესტატს თითო ოროლა თუ ეღირსებაო. მიმოხილვის ავტორი მრავალის ოფიციალურის ციფრებით ამტყუნებს ამ აზრს და ბოლოს ამბობს:

„ყველაზე ცხადად და აშკარად ქართველთა წარმატება შედარებით რუსებთანა და სომხებთანა გამოხატება ციფრებით, რომელნიც შეეხებიან კურს დასრულებულებს და ატესტატის მიმღებთა. ანგარიშის მოწმობით, რუსთაგან მიიღო სისრულის ატესტატი 1897 წელში 5,1%, ქართველთაგან აგრეთვე 5,1%, სომხებთაგან 3,1%. 1898 წელში ქართველებს ამ მხრივ მესამე ადგილი დაუჭერიათ. მაგრამ 1899 წელში ჩვენებს წინ გაუსწრიათ არამც თუ სომხებისათვის, არამედ რუსებისთვისაც. ქართველებში ატესტატი მიუღიათ 5,7%, რუსებში 5,1%, სომხებში მხოლოდ 3,5%.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ქართველთა რიცხვი საშუალო სასწავლებლებში ერთი ოთხად ნაკლებია რუსებზე და ორჯელ ძირს ჩამოუვა სომეხთა რიცხვსა. ამ სამწუხარო მხარეს აქცევს მთავარს ყურადღებას ავტორი მიმოხილვისა ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და უჩვენებს იმ ღონის ძიებებს, რომელთა მეოხებით ქართველთა რიცხვმა უნდა იმატოს საშუალო სასწავლებლებში სანატრელს რაოდენობამდე.

უცხოეთი

—

ჩინეთი. როგორც ვუწყით, ჩინელები პეკინსა და ტიან ძინს, საზოგადოდ ჩილის პროვინციას, არ დასჯერდნენ და უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მოქმედებას ჩრდილოეთ პროვინციებშიაც შეუდგნენ, სახელდობრ მანჯურიაში, რომელიც რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფება და საცა რუსეთს რკინის გზა გაჰყავს. რუსეთში არავის არ ეგონა, თუ ჩინელები ამ ზომამდე მივიდოდნენ და არამც თუ უცხო-ქვეყნელებს დაუწყებდნენ დევნას მანჯურიიდგან, არამედ თვით რუსეთის ქალაქებსაც დაუშენდნენ ყუმბარებს. ეხლა გამოირკვა, რომ ჩინელები მანჯურიაშიაც შესდგომიან მზადებას იქიდგან რუსების გასარეკად და ამ აზრით ჯარი საზღვრის მახლობლად გაუგზავნიათ. დეპეშებიდგან უკვე ვიცით, რომ ჩინელებმა პირველად ქალაქ ბლაგოვეშჩენსკს დაუშინეს ყუმბარები. ამ ქალაქის პირდაპირ, ჩინეთის საზღვარზედ, ჩინეთს 8000 ჯარის-კაცი დაუყენებია, რომლებსაც 8 ზარბაზნიდგან დაუწყია სროლა. ვიდრე ქალაქს ჯარი მიეშველებოდა, ჩინელებმა დიდი ვნება მიაყენეს და მრავალი სახლი თავიანთის ყუმბარებით თითქმის მიწასთან გაასწორეს. ჯარი ამ ქალაქში გენერალ გრიბსკის უფროსობით იქმნა გაგზავნილი. ამ გენერალის ბრძანებით, ქალაქის მცხოვრებნი მახლობელს სოფელში გაუგზავნიათ. 2, 3 და 4 ივლისს თითქმის განუწყვეტელი სროლა ყოფილა ჩინელებსა და რუსებს შორის. რუსებმა ყუმბარებით ცეცხლი წაუკიდეს ჩინელების სოფელს სახალიანს, მაგრამ მტრის ჯარის განდევნა საზღვრიდგან ვერ მოახერხეს. ამის მიზეზი ჩინელების სიმრავლეა. როგორც უკანასკნელად იუწყებიან, საზღვარზედ მუდამ ჩინეთის ჯარს პეკინიდგან და სხვა ადგილებიდგან ახალი ჯარი ემატება.

ტიან-ძინის ბრძოლის დროს 27 ივნისს იაპონელთ საოცარი სიმამაცე და მხნეობა გამოუჩენიათ. ამ დღეს საერთა შორისო ჯარს იაპონიის გენერალი უფროსობდა. ამ გენერალის მოხერხებულ განკარგულების წყალობით, ჩინელები მალე დაუფლეთიათ და სრულიად განუდევნიათ ტიან-ძინიდგან.

— როგორც „Kreus-Zeitung"-ი იუწყება, პრინც ტუანს, ჩინეთის ახლანდელს უზურპატორს, ევროპიული განათლება მიუღია. გაზეთის სიტყვით, ტუანს განათლება ბრიუსელში მიუღია. 1876 წელს მისულა ბრიუსელში და გადაუცია მეფისათვის ქვრივის იმპერატრიცას წერილი. შემდეგ ტუანი ბრიუსელის კარაბინერთა რაზმში ჩაურიცხავთ და ორი წელიწადი იქ დარჩენილა. მშვენივრად იცის თურმე ტუანმა ფრანგული ენა. ამხანაგები ჰუმანიურ კაცად სთვლიდნენ და ეგონათ, რომ ევროპიელების დიდი მომხრეაო. ტუანი წინად ჩინეთში რეფორმების შემოღების მომხრე იყო.

— როგორც ჩინეთიდგან იუწყებიან, იაპონიას ჩიფუში 15 ათასი ჯარის-კაცი გადაუსხამს. ეს ჯარი ჯერ ტიან-ძინში ჩავა, ხოლო შემდეგ პირდაპირ პეკინისაკენ გაემართება.

— „Stand."-ს ჩიფუდგან დეპეშით აცნობებენ: „როგორც მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, მთელის სამის პროვინციის—ჩჟილიის, შანსიისა და შანტუნგის მამაკაცნი ემზადებიან ევროპიელებთან საბრძოლველად. სხვა პროვინციების ჩინელნი ჯერ მონაწილეობას არ იღებენ მოძრაობაში, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ ისინიც მალე აისხამენ იარაღს.

— გაზ. „Globe"-ს შანხაიდგან აცნობებენ: „შევიტყევ, რომ შანხაიდგან 40 მილის სიშორეზედ 100 ათასი ჩინელი ჯარის-კაცი დაბანაკებული. ეს ჯარი მაუზერის თოფებით არის შეიარაღებული. საუკეთესო არტილერია აქვს. ამ ჯარმა ალბათ უნდა შემოარტყას შანხაის იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთმა ან სხვა რომელმამე სახელმწიფომ ჯარი გადასხა და სიმაგრეების აღებას შეუდგა".

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ესპანიურს ერთს სამკურნალო გაზეთში, სახელდობრ „Siglo Medico"-ში დაბეჭდილია ესპანელის მკურნალის რიგვერის საყურადღებო წერილი. რიგვერო დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ „ალანჟეს" სამკურნალო წყლებს (ესპანიაშია) მეტად კარგი თვისება აქვს: იგი ადამიანს „უიმედო სიყვარულისაგან" არჩენსო. იმ დღიდგან, რაც ეს ამბავი გავრცელებულა, ხსენებულ სამკურნალო წყალს აუარებელი ხალხი მიაწყდა თურმე, განსაკუთრებით ახალგაზდა ქალები ეტანებიან ძალიან: როგორც მოგეხსენებათ ახალგაზდა ქალებს შორის ეს სენი—„უიმედო სიყვარული"—ძალიან არის გავრცელებული. ექიმს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იმისა, რომ ამ წყლის შემწეობით „უიმედო სიყვარულით" შეპყრობილი განკურნებულა. მაგრამ ამ წყალს სხვა თვისებაც ჰქონია. „უიმედო სიყვარული"-ს განკურნების გარდა, იგი თურმე დაკარგულს სიყვარულსაც უბრუნებს. სხვათა შორის ერთს ახალგაზდა ქალს ჩხუბი მოსვლია თავისს დანიშნულთან და ამ ჩხუბის შემდეგ მოულოდნელად ისე შესძულებია იგი, რომ თვალის დასანახავად ეჯავრებოდა. ამან საშინლად დააფიქრა თურმე ქალის დედმამა და დანიშნული გაუგზავნიათ სამკურნალო წყლებზედ და მართლაც ორის კვირის შემდეგ იმდენად განკურნებულა, რომ დანიშნული წინანდელზედ ერთი ორად უფრო ძალიან შეჰყვარებია თურმე.

* * *

როგორც უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, ლონდონში ამ ჟამად 6,500,000 მცხოვრებია. ყოველ წელიწადს ლონდონს 80,000 სული ემატება. ყოველ სამ წუთს ლონდონში თითო ბავშვი იბადება, ხოლო ყოველ ხუთს წუთს ერთი ვინმე ჰკვდება. ლონდონში უფრო ბევრი ებრაელია, ვიდრე მთელს პალესტინაში, უფრო ბევრი შოტლანდიელი, ვიდრე შოტლანდიის დედა ქალაქ ედინბურგში, უფრო ბევრი ირლანდიელი, ვიდრე ბელფასტში და უფრო ბევრი კათოლიკე, ვიდრე თვით რომში, პაპის სამყოფელ ქალაქში. ლონდონის ქუჩების სიგრძე ერთად 13,000 ვერსია, ამ ქალაქის 100 მცხოვრებიდგან 31 კაცს ცხოვრების გადაწყვეტილი სახსარი არა აქვს. ყოველ წელიწადს ლონდონს უნდება 400.000 ხარი, 1,500,000 ცხვარი, 8 მილიონი შინაური და გარეული ფრინველი, 400 მილიონი გირვანქა თევზი და 500 მილიონი ლოკოკინა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივლისი

პეტერბურგი. ბლაგოვეშჩენსკში ყოველიკე მშვიდობიანად არის. ჩინელები როგორღაც აღარ აპირებენ იერიშის მიტანას. სხვა რაზმებიც საკმაოდ სწრაფად მიდიან წინ, რადგანაც დამაბრკოლებელს საიმისოს ვერასა ჰხვდებიან. იმედია, მახლობელს მიდამოებში მაინც წესიერება მალე იქმნება აღდგენილი. როგორც ამ ბოლოს დროს იუწყებიან, ხარბინის მცხოვრებნი დამშვიდებულან. მანჯურიაში ეს არეულობა თანაგრძნობას ვერ ჰპოულობს ხალხში.

მთავარმა შტაბმა 11-ს ივლისს ჩინეთიდგან დამამშვიდებელი ცნობები მიიღო: ბრძოლის უმთავრესს ადგილებში ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა და ჩინელთა ჯარის მხრივ წინააღმდეგობა შესუსტდა.

8 ივლისს კულჯიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ საზღვარზედ მშვიდობიანობაა. რუსეთის ფოსტა კულჯაში კვირაში ორჯელ მიდი-მოდის.

7 ივლისს გამოგზავნილი დეპეშა: „დანარჩენ ლიანდაგისა და ინკოუს დიდი საწყობების დასაცველად საჭიროა ახლავე დაუყოვნებლივ იქმნას ძლიერი რაზმი გაგზავნილი. დაგვიანება ჯარისა ჩინელებს ამხნევებს და მათ რაზმებს დღითი დღე ახალი ჯარის-კაცნი ემატებიან. სადგურ დაშიტაოში მცირე რაზმი იქმნა დატოვებული; სადგურ სინიუჩენისა და ტოიდორის ქალაქებში ჩინელი ჯარია ჩამდგარი, რომელსაც კრუპის ზარბაზნები აქვს თანა".

11 ივლისს ჩამოვიდა საპერძნეთის ბატონიშვილი ნიკოლოზი და ახალ პეტერგოფს წავიდა.

ჩვენმა ჯარმა დაიჭირა პეი-ხოს და ტიან-ძინის მარცხენა კიდეზედ 1 ივლისს 42 ჩინელების ზარბაზანი. — მანჯურიიდგან იუწყებიან: ოფიციალურად ჩინელებთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს, მაგრამ საიდუმლოდ-კი დიდს სამხედრო სამზადისში არიანო.

მთავარ-შტაბში დეპეშაა მიღებული ჩიგუჩადგან (დასავლეთ ჩინეთშია) 7 ივლისის თარიღით, რომლითაც უსუნჩუს მთავარი ელჩი იუწყება, რომ მთელს სინგუძინში სრული მშვიდობიანობააო. გუბერნატორი ჰკისრულობს კულჯაში მშვიდობიანობის დაურღვევლობას.

6 ივლისის დეპეშით მთავარ-შტაბს აუწყებენ, რომ ჩინეთის აღმოსავლეთის რკინის გზის ლიანდაგი შიცაოს სადგურამდე დანგრეულია. განადგურებულია ხიდები, საწყობები და ნახშირის მღვიმე-მაღაროები. იანტაში ბევრი კაცია დახოცილი მოსამსახურეთა და დარაჯთაგან. ჩინეთის ჯარი მრავლად იყრის თავს უვნებლად დარჩენილ ლიანდაგს ახლო.

აქაური ჩინეთის საელჩოს მიერ ვიცე-კოროლთან შიკაუსა და შენის სახელობაზედ გაგზავნილ დეპეშის პასუხად შემდეგი დეპეშაა მიღებული თვით ცზუნგ-ლი-იამენისაგან, გამოგზავნილი იმავე შენის მიერ: „5 ივლისს, ცზუნგ-ლი-იამენის განკარგულებით, ჩვენი მოხელე იყო უცხო-ქვეყნის ყველა ელჩთან და ყველანი ჯან-მრთელნი და უვნებელნი დახვდნენ. გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ საელჩოებისათვის სურსათი და ყოველივე, რაც საჭიროა მიეცათ. შემდეგ მინისტრმა წინადადება მისცა ელჩებს, რომ დროებით, ვიდრე პეკინის მკვიდრნი დაწყნარდებიან და ყოველივე ჩვეულებრივს წესსა და რიგში ჩავარდებაო, გადადით ტიან-ძინს, სადაც ყოველს შიშს აცილებულნი იქმნებითო. წასვლის დროს საიმპერატორო ჯარი მიგაცილებთო.

ჩერნიგოვი. გუბერნიის საგანგებო საერობო კრებამ ადგილობრივს წითელის ჯვრის საზოგადოების განყოფილებას 5,000 მან. მისცა, რომ ამ ფულით შორეულს აღმოსავლეთში სასანიტარო რაზმი იქმნას გაგზავნილი.

მოსკოვი. დღეს, წმ. ხარიტონის ეკკლესიის ბოსტანში მიწის თხრის დროს, თიხის ქილა იპოვნეს, რომელშიაც 1656 წლის მოჭრილი 170 იმპერიალი და ნახევარ-იმპერიალი აღმოჩნდა.

ბელგრადი. ხრისტიჩმა უარი განაცხადა, კაბინეტს ვერ შევადგენ; როდესაც მილანის სამსახურიდგან გადადგომა შეიტყო, კაბინეტის შედგენა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ იოვანოვიჩმა იკისრა.

შანხაი. ლი-ხუნგ-ჩანგმა განაცხადა ლაპარაკის დროს, რომ პეკინში მყოფი ელჩები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარების პეკინში მისვლა-კი უთუოდ აიძულებს, რომ პეკინში მყოფნი უცხოელნი სრულიად ამოსწყვიტონო. ლი-ხუნგ-ჩანგმა სთქვა, მე ადვილად შემეძლო წესიერება აღმედგინა, 20,000 ევროპიელი ჯარი რომ მყოლოდაო.

ბერლინი. როგორც ჩიფუში მყოფ გერმანიის კონსულის ცნობიდგან სჩანს, შანდუნის გუბერნატორი იმპერატორის შემდეგს ბრძანებას თურმე ავრცელებს: „დღევანდელ სამხედრო მოქმედებათა მიზეზი ადგილობრივ-ქრისტეანეთა და ჩინეთის დანარჩენ მცხოვრებთა შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება და უცხო სახელმწიფოთა მიერ ტაკუს სიმაგრეების დაჭერაა. დიდად სამწუხაროა, რომ გერმანიის ელჩი და იაპონიის საელჩოს წევრი მოკლულ იქმნენო“. გუბერნატორებს ებრძანებათ წესიერება დაიცვან. სამხედრო მოქმედებათა გარეშე რაც უცხოელებს ზარალი მოუვიდათ, ეს ადგილობრივ მოხელეებისაგან იქმნება გამოანგარიშებულიო.

ვაშინგტონი. ჩინეთის იმ თხოვნის პასუხად, რომ შუამავლობა გაგვიწიოს ამერიკამაო, მაკ-კინლეიმ აცნობა ჩინეთის ელჩს, რომ თანახმა ვარ ვიკისრო შუამავლობა ზოგიერთის პირობითაო, ხოლო რა პირობებია ეს პირობები, დაწვრილებით ალბად ხვალ იქმნება ცნობილი.

ვაშინგტონიდგან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჯარის ლაშქრობა 17 ივლისიდგან დაიწყებაო.

ბერლინი. იუწყებიან, რომ ჩინეთის ელჩმა 8 ივლისს გარეშე საქმეთა სამინისტროს წარუდგინა ჩინეთის იმპერატორის დეპეშა გერმანიის იმპერატორის მიმართ. იგი გერმანიის იმპერატორს შველას ემუდარება და სთხოვს, გერმანიამ იკისროს ხელმძღვანელობა უწინდელებრ მშვიდობიანობის დაცვის საქმეშიო. ბიულოვმა უარი განაცხადა, არ გადავცემ დეპეშას, ვიდრე პეკინში დამწყვდეულ ელჩთა და უცხო ქვეყნელთა მდგომარეობა არ გამოირკვევა, ვიდრე ჩინეთის მთავრობა სამაგიეროს არ მიიღებს კეტტელერის მოკვლისათვის და ვიდრე თავმდებობას არ მოგვცემს, რომ მერმისში საერთაშორისო წეს-რიგით თანახმად მოიქცევა.

12 ივლისი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველის მიერ შეჩერებულ იქმნა გაზეთ „სევერნი კურიერის“ გამოცემა ორის კვირით.

ნიკოლსკიდგანა და სუნგარზედ საჩქაროდ მიდის ჯარი ხარბინის დასაცველად. გენერალ-მაიორი გრენგროსსი ემზადება მტრის მოსაგერებლად და იმედია, რომ საქმეთა ვითარება ჩქარა გაუკეთესდება. მკვიდრთა უმეტესობა თანაგრძნობით ეკიდება რუსებს და გზის გაყვანის საქმეს. რაკი ხარბინი განთავისუფლებული იქნება, შესაძლებელია სხვა ადგილებიც განთავისუფლებულ იქმნას. პოლკოვნიკის მიშჩენკოს რაზმმა მოახერხა და დაშიცაოს სადგურისაკენ დაიწია.

გროდეკოვი იუწყება ხაბაროვსკიდგან 9 ივლისს: „ბლაგოვეშჩენსკში დღე ხან-გამოშვებით ისმოდა ზარბაზნებისა და თოფების სროლა, რომელმაც არავითარი ვნება არ მოიტანა და რომელიც საღამოზედ სრულიად მოისპო. ალაგ-ალაგ ყაზახები გადადიან ამურზედ და აუქმებენ ჩინელების სადარაჯო ადგილებს. გემი, რომელიც ხარბინადგან ლახასუსში მოვიდა დეპეშით იცნობება, რომ ჩინელებმა ზარბაზნები დაგვიშინეს სანსინში, დაჭრილები არიანო ლოცმანი და ერთი ქალი. სანსინის რუსნი მკვიდრნი სუნგარის შუაგულს იმყოფებიან პატარა გემზედ.

ლონდონი. ოფიციალური დეპეშა იუწყება კაპშტადტიდგან 10 ივლისს: „კრონშტატში არავითარი ცნობა არ არის მიღებული გენტერისაგან. პოლკოვნიკი ბელლოკი იუწყება 10 ივლისს გონნინგსპრუიტიდგან, რომ ბურების რაზმები დღეს გადავიდნენ სერფონტენიდგან სამხრეთით რკინის გზის ლიანდაგს და მიეშურებიან იმ ადგილას, სადაც შეერთდებიან რენოსტერი და ვაალი. 100 გაილენდერი დატყვევებულ იქმნა ვინდავასთან. რკინის გზის ლიანდაგი დიდად არის დაზიანებული, მაგრამ ჩქარა იქმნება შეკეთებული“.

ლონდონი. ინგლისის ტიანძინელი ელჩი იუწყება 8 ივლისს: „დღეს მიღებულია წერილი მაუნოცანდისა, რომელსაც თარიღად აწერია: „პეკინი, 21 ივნისიო“ და რომლითაც იგი შველა დახმარებას თხოულობს. სურსათი ორს კვირას გვკმარის, მაგრამ პეციხოვანე ჯარი დიდხანს ვერ გაუმაგრდება მხნე იერიშებს. ჩვენის ჯარიდგან მოკლულია 44 და დაჭრილი ერთი ორად მეტია“.

ლონდონი. აქაურს ოფიციალურს წრეებში იმედი ეძლევათ, რომ ელჩები ცოცხლები არიანო.

ვაშინგტონი. შენმა დეპეშით აცნობა ჩინეთის აქაურს ელჩს, რომ უცხო-ქვეყნელთა ელჩები დარაჯის მცველობით ტიანძინს წავლენო. ჩინეთის მთავრობა არამცთუ იცავდა მათ, არამედ სურსათსაც-კი აძლევდაო.

ვაშინგტონი. მაკ-კინლეის პასუხი, ჩინეთის იმპერატორთან გაგზავნილი, შემდეგს პირობებს შეიცავს: 1) საჯაროდ უნდა განაცხადოთ, ცოცხლები არიან თუ არა ელჩები და რა მდგომარეობაში იმყოფებიან; 2) დაუყოვნებლივ უნდა მიეცეთ დიპლომატებს შეძლება თავისუფლად იქონიონ მიწერ მოწერა თავიანთ მთავრობასთან და აცილებულ იქმნას საფრთხე, რომელიც იმათს თავისუფლებასა და სიცოცხლეს ემუქრის; 3) ნება მიეცეთ ჩინეთის მოხელეთ დამოკიდებულება იქონიონ დამცველ ექსპედიციასთან უცხო-ქვეყნელთა საერთო დასაცველად და წეს-რიგის აღსადგენად. თუ ეს პირობანი აღსრულებული იქნება, მაკ-კინლეი იმ აზრისაა, რომ ხელს არაფერი შეუშლის იმ საგანთა მშვიდობიანად გადაწყვეტას, რომელიც წინ წამოაყენა აწ დაწყებულმა უწესოებამაო, და მე, დიდთა სახელმწიფოთა თანხმობით, სიამოვნებით აღვასრულებ ჩინეთის იმპერატორის ყოველს თხოვნასაო.

პარიჟი. დელკასემ საფრანგეთის შანხაელ მთავარ-ელჩისაგან 10 ივლისს გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა მიიღო: „ლიხუნგჩანგმა დამარწმუნა, რომ პიშონი ცოცხალია და თანახმად გარდასცეს მას ჩემი დეპეშა, რომლის პასუხსაც ხუთი დღე მოუნდებაო“.

დელკასემ შემდეგი დეპეშა მიიღო საფრანგეთის ტიანძინელ ელჩისაგან: „ქალაქი მშვიდობიანად არის და 4 ივლისს ჩვეულებრივი სანახავი იყო. 4 ივლისს პეკინში გაგზავნილი შიკრიკი უკან მხოლოდ შვიდის დღის შემდეგ შეაძლებს დაბრუნებას“.

მოსკოვი. დანი მოწყალებისანი ამზადებენ სასანიტარო რაზმს შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად. ამ რაზმში 100 და მოწყალებისა იქმნება. მეთაურად რაზმს მისდევს მოწყალების დათა საზოგადო საცხოვრებელის უფროსი კნეინა შახოვსკი.

პეტერბურგი, 11 ივნისი. ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის 4 ნახევარი პროცენტი გირავნობის ფურცლები 86 მან. გაიყიდა, ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლებს აფასებენ 6 პროცენტს — 101 ნახევარ მან., 5 პროცენტს — 98-ნახევარ მან.

ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

ყ

ყალათმა—ქუნთრუშა, სენია ერთგვარი. ქართ.

ყანდი—ზადი, ხეს ყანდი შეუვიდა, სიდამპლე შეეპარა. ქარ.

ყაპყი—თხლად დადებული თოვლი. ფშ.

ყაპყატო—ხის მუხრუჭი, обручи, ან ცხრილის მოსაქსოვად დათლილი წკეპლები. ფშ.

ყარღო—წვრილი სამარწყვე ხოკერი ერთიანად გამძვრალის ხის ქერქისა. ფშ.

ყარტი—ჭვავის ნაბჯა. ჭვავს კი არა ჰლეწენ, წვრილად შეკრულ ხელეურებს დიდხანს აშრობენ, მერე ფიცარზედ სცემენ, მარცვალი სცვივა და ცალიერი ხელეური რჩება. მერე ამ ჩალას საბძლების სახურავად ჰხმარობენ. ფშ.

ყარყუმი—აშარი, ყიამყრალა კაცი. ქართ.

ყასავათი—ყაირათი, დაზოგვა, ხელის მოჭერა.

ყალი—შაშხი, გამხმარი, მარილში გამოყვანილი ხორცი. ფშ.

ყაყა—ფინთი, ფშ. ქართლში ხიხიას ეძახიან.

ყაჭიჭორა—მხალია ერთგვარი.

ყეყეჩი—სულელი, идіотъ. ქართ.

ყკა—ვეყვი, მეყვის, არას მეყვის, არ მეკუთვნის. ფშ.

ყვირილობა—დრო, ენკენისთვის ნახევრიდგან იწყება და ღვინობისთვემდე გასტანს, როცა ხარი-ირემი ჰყვირის და ფურებს ეძებს. ფშ.

ყკელერბო—საჭმელი ყველი, ერბოში მოშწვარი. ფშ.

ყივანა-ხვალა—სენია ერთგვარი, ძლიერი ხველება, ბალღებს შეხვდება ხოლმე.

ყინტრის ყვა—მცენარეა, ყინტორას ან ხიფხოლას ღეპეი. ფშ.

ყინტრაობა—შინაურ ცხოველების ხტუნაობა, თამაშობა. ფშ.

ყინჩი—ლამაზი, მშვენიერი, ფშ.

ყინწი—გძელი ყელი. ფშ.

ყირანიაყენია საჭმელისა—სუფრაზედ ძალიან ბევრი საჭმელებია. ქართ.

ყირანჭა—საჭმლის ჩასავლელი მილი ყელში. ფშ.

ყიჟალა—ჩხიკვი. ფშ.

ყოთსაცურა—სოკოა, როცა დაბერდება, ფეხს რო დაადგამ, გასკდება და იქიდგან შავი ბოლი ამოუშვებს. ფშ.

ყუვენიორა—ყვენიორა. ფშ. მცენ.

ყუტი—ბაყაყი. ფშ.

ყოჩი—დაუკოდავი მამალი ცხვარი. დაკოდილს ჭედილა ჰქვიან. ფშ.

ყროლი—მყრალი, ცუდი. ფშ.

ყურმელა—ორთავე მჭერი, ყურში თუ ჩაუძვრა, ადვილად აღარ გამოვა. ფშ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ივერია“ № 141.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 20 ივლისს, 1900 წელს, ნაშუადღევს 12 საათზედ, ნაცვლად არ მომხდარის ვაჭრობისა, დანიშნულია ახალი ვაჭრობა ქალაქის მამულის იჯარით გასაცემად, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მე-7 ნაწილში, ავლაბრის აგარაკში, ზომით 28 დესეტინა, გაჯის დასაწვავად.

მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობანი ქალაქის გამგეობის მე 4 განყოფილებაში 8 საათიდამ 1 საათამდე ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა. (3—6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის აგარაკი **ბორჯომში** (აბესალომოვისეული), რომელიც შეიცავს 5 ოთახს ძირის სართულში და 4 ოთახს ზემოსაში, **იძლევა ქირით დაკლებულის ფასით.** პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის მე 4 ამშენებელ განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 8—დგან 1-ლ საათამდე. (3—6.—2)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე